

ფირმის ეკონომიკა (ბიზნეს ინჟინერინგი)
I სემესტრი. 2018-2019 წელი
(ფინალური გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

ტურისტული ფირმები არაა:

აირჩიეთ ერთი:

- a. ტურისტული კომპლექსი.
- b. ტურისტული სააგენტო და ტურისტული კორპორაცია;
- c. ტუროპერატიული ფირმა და ტურისტული კორპორაცია;

კითხვა 2

თავისი წილის გასხვისება კომანდიტს:

აირჩიეთ ერთი:

- a. შეუძლია სხვა პარტნიორების თანხმობისას;
- b. არ შეუძლია;
- c. შეუძლია სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე.

კითხვა 3

ბიზნესის გარემოს დასახასიათებლად გამოყენებული უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. ორივე პასუხი სწორია.
- b. გარემოს ერთგვაროვნება, სიმდიდრე და კონცენტრირება;
- c. გარემოს სტაბილურობა, ერთგვაროვნება და სიმდიდრე;

კითხვა 4

კრედიტის ასაღებად საჭირო ბიზნეს-გეგმა უნდა მოიცავდეს:

აირჩიეთ ერთი:

- a. პროექტის მიზანს, პროდუქციისა და მომსახურების დახასიათებას და მარკეტინგის გეგმას;
- b. ორივე პასუხი სწორია.
- c. ფირმის დახასიათებას, ბაზრის ანალიზსა და ფინანსურ გეგმას;

კითხვა 5

სტატიკური კონკურენტუნარიანობის თეორია ბაზარს სწავლობს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ხარისხობრივი ნიშნების მიხედვით;
- b. რაოდენობრივი ნიშნების მიხედვით;
- c. ორივე პასუხი სწორია.

კითხვა 6

ბაზარზე შეღწევის სტრატეგია არ ითვალისწინებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ბაზრის არსებულ სეგმენტში სიახლის შეტანას.
- b. ძველ ბაზარზე ახალი პროდუქციის შეტანას;
- c. ახალ ბაზარზე შეღწევას;

კითხვა 7

PR-ის მიზანია:

აირჩიეთ ერთი:

- a. სტიმულირება.
- b. შთაგონება;
- c. დარწმუნება;

კითხვა 8

ერთობლივი მეწარმეობა არ გულისხმობს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ერთობლივი საწარმოს შექმნას.
- b. პარტნიორის მიერ თავისი წილი სამუშაოს შესრულებას.
- c. შერეული საწარმოს შექმნას.

კითხვა 9

საპროექტო დაფინანსება არის პარტნიორული ურთიერთობა:

აირჩიეთ ერთი:

- a. ვაჭრობის სფეროში.
- b. წარმოების სფეროში.
- c. ფინანსურ სფეროში.

კითხვა 10

ხელშეკრულება არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. უფლებებსა და მოვალეობებზე დაფუძნებული კონსენსუსი;
- b. უფლებათა დაფიქსირება, რომლებსაც მხარეები ანიჭებენ ერთმანეთს.
- c. ვალდებულებებით განმტკიცებული მხარეთა კომპრომისი;

კითხვა 11

ყველა დანართი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, მოცემულია ხელშეკრულების:

აირჩიეთ ერთი:

- a. პრემბულაში.
- b. ძირითად ნაწილში;
- c. დასკვნით ნაწილში;

კითხვა 12

საბრუნავი კაპიტალი ფორმაში მოიხმარება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ერთი წლის განმავლობაში;
- b. ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- c. ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

კითხვა 13

მსოფლიო სააღრიცხვო პრაქტიკაში გავრცელებულია ამორტიზაციის განსაზღვრის:

აირჩიეთ ერთი:

- a. 3 მეთოდი;
- b. 2 მეთოდი;
- c. 4 მეთოდი.

კითხვა 14

საწარმოში დასაქმებულ მუშებს მიეკუთვნებიან:

აირჩიეთ ერთი:

- a. საწარმოო და ტექნოლოგიური მუშები.
- b. საწარმოო და არასაწარმოო მუშები;
- c. ძირითადი და დამხმარე მუშები;

კითხვა 15

რეალური ხელფასი ასახავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ნომინალური ხელფასის ფაქტიურ მსყიდველობითუნარიანობას;
- b. შესრულებული სამუშაოსათვის გადახდილ ფულს;
- c. გარკვეულ პერიოდში გაწეული შრომისათვის აღებულ თანხას;

კითხვა 16

ფირმის მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. დანერგვა, ორგანიზება, მოტივირება და კონტროლი;
- b. დანერგვა, უზრუნველყოფა და სტიმულირება.
- c. დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივირება და კონტროლი;

კითხვა 17

თუ მობილური სატელეფონო კავშირების ხარჯები ცვალებადია, ხოლო სააბონენტო გადასახადი მუდმივი, მაშინ დანახარჯები:

აირჩიეთ ერთი:

- a. ნაწილობრივ ცვალებადია;
- b. ნაწილობრივ მუდმივია;
- c. მერყევია.

კითხვა 18

აქტივების რენტაბელობის გაანგარიშების ფორმულაში მნიშვნელი არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ორივე პასუხი სწორია.
- b. ერთობლივი ან წმინდა აქტივები;
- c. მიმდინარე ან წმინდა აქტივები;

კითხვა 19

არასტაბილური ქვეყნის ფასიან ქაღალდებში დაბანდებული ინვესტიციების დანაკარგების რისკი ეკუთვნის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფინანსურ რისკს;
- b. ინვესტიციურ რისკს;
- c. საქვეყნო რისკს.

კითხვა 20

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი:

აირჩიეთ ერთი:

- a. არ მოიცავს ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს;
- b. მოიცავს ხელფასის სახით მიღებულ მხოლოდ იმ შემოსავლებს, რომლებიც არ უკავშირდება დაქირავებით მუშაობას.
- c. მოიცავს ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს;